მთის კურორტების
განვითარების კომპანია

№ 099

ფაქტ-მეტრის მთავარ დირექტორს

ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

ა.წ. 22 აპრილს შემოსული N-164 წერილის თანახმად გიგზავნით თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას:

1. გუდაურში ჩასული ვიზიტორების რაოდენობა 2011-2015 წლებში (გაყიდული ბილეთების მიხედვით) შეადგენს - 497,066 ვიზიტორს. გამომდინარე იქიდან რომ, კურორტი გუდაური 2010 წელს იყო კერძო საკუთრებაში, 2010-2011 სეზონზე ვიზიტორთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება.
2. 2014-2015 წლის სეზონზე ბაკურიანს, კერძოდ კი დიდველს (გაყიდული ბილეთების მიხედვით) ეწვია 51,692 ვიზიტორი.
3. გამომდინარე იქიდან, რომ დიდველი მთის კურორტების განვითარების კომპანიას მმართველობაში გადმოეცა 2014 წლის ივლისში, ჩვენი მოსაზრებით დიდველზე ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით გაიზარდა 20%-ით.

ასევე დამატებითი ინფორმაციის სახით გიგზავნით გაყიდული ბილეთების რაოდენობას წლების მიხედვით (ვიზიტორების რაოდენობის ფორმულირება მოხდა გაყიდული ერთჯერადი, ერთდღიანი, რამოდენიმე დღიანი და სეზონური აბონემენტების მიხედვით):

- 2011-2012 სეზონი - 61,268 (გუდაური)
- 2012-2013 სეზონი - 82,905 (გუდაური)
- 2013-2014 სეზონი - 59,770 (გუდაური)
- 2014-2015 სეზონი - 116,027 (გუდაური - სეზონი გრძელდება, მონაცემები არის ა.წ 19 აპრილის ჩათვლით)
- 2014-2015 სეზონი - 126,370 (დიდველი)

პატივისცემით,

ალექსანდრე ონოფრიშვილი

დირექტორი

მთის კურორტების განვითარების კომპანია

შპს. "მთის კურორტების განვითარების კომპანია"
0171 თბილისი, კოსტავას ქ. 70
ელ-ფოსტა: info@gudauri.com

ltd. "Mountain Resorts Development Company"
70 Kostava Str., 0171 Tbilisi, Georgia
e-mail: info@gudauri.com

გუდაური
www.gudauri.com